

ქართული გზები



საქართველოს
მწიკრალთა
კავშირის
გაზეთი
№3 (262)
15 აპრილი
15 მაისი
2018

ფასი 1 ლარი

გამომცემი
თეიმურაზი



რევაზ მიშველაძე

ტორნადოს გარდა ამერიკაში არსებობს ორი საშინელი გრიგალი - ირმა და მარია.

ირმა და მარია ცათამბჯენებს ასანთის კოლოფებივით ათამაშებენ, ოკეანეს ავად არწევენ და გემებს ცაში ისვრიან.

მდინარეებს კალაპოტს უცვლიან და უზარმაზარ ხეებს ფესვებიანად თხრიან.

...გასაკვირი ის არის, რომ ამერიკელებს ამ ორი საშინელი ურჩხულისთვის მშვიდი და უწყინარი სახელები დაურქმევიათ - ირმა და მარია.

ქუდბედნიერი მწერალი ხარო, მითხრა ერთმა. სახალხო მწერალი ხარ, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ხარ... მართლაც რომ ბედნიერ ვარსკვლავზე ხარ დაბადებულიო.

ძლება იყოს პროფესორი ამ გაუსაძლის ეპოქაში.

ერთხელ ლევან გოთუას უთქვამს: საოცარია, ამ მტრულ გარემოცვაში როგორ გადავრჩით, ან როგორ შევქმენით ამხელა კულტურა. ჩრდილოკავკასიელების და თურქების სახით ზოგჯერ ისეთი ტომები გვესხმოდნენ თავს, საერთოდ მწერლობა რომ არსებობდა არ იცოდნენო.

ახლა?

ასი სტუდენტი რომ გააჩერო რუსთაველზე და ჰკითხო, ვინ არის ლევან გოთუაო, ვერცერთი ვერ გიპასუხებთ.

არა და ჩემს ახალგაზრდობაში როგორ ველოდით „გმირთა ვარამის“ ახალ წიგნს, „მითრიდატეს“ დამთავრებას.

რა დაგვემართა?

2017 წლის 9 ნოემბერს ჯანსუღ ჩარკვიანი დავკრძალეთ.

ის იყო, მთანმინდაზე სამგლოვიარო სიტყვებს ვამბობდით, რომ მარჯვენა მხარეს ჩოჩქოლი ატყდა.

ოთხმა ქალმა ტრანსპარანტები ააფრიალა და კივილი ატყდა.

მთანმინდაზე ჯანსუღ ჩარკვიანის დასაფლავებას აპროტესტებდნენ.

დარწმუნებული ვარ, ეს ქალები რევოლუციების დროს ზვიადის გვერდით მდგომნი მღეროდნენ ჯანსუღის ლექსს:

ძლივს, ძლივს ამოდის
მთვარე სამოთხის,
ტყვია მიზანში
მოსახვედრია,
თავისუფლება
თვითონ არ მოდის,
თავისუფლება
ლომთა ხვედრია.

ერთხელ ჯანსუღმა მითხრა: ამ ლექსში მეწერა: „ვინც ჩვენ ერთმანეთს ასე გაგვეყარა, თავისუფლება არ ელირსება“, მაგრამ მთავლიტმა მითხრა, „თავისუფლება“ ნამეტანიაო და „სატრფოსთან შეყრა არ ელირსება“ ჩამანერინესო.

ჯანსუღი თავისუფალი კაცი იყო. მაპატიეთ, მაგრამ თქვენ არ ხართ თავისუფალი, ჯანსუღის მტერო ქალებო!

თავისუფალი რომ იყოთ, პოეტის შეურაცხყოფად დილით სახლიდან არ გამოხვიდოდით.

მით უმეტეს იმ პოეტისა, ხუთი წუთის შემდეგ სამარეში რომ უნდა ჩაგვესვენებინა და მინა მიგვეყარა.

2017 წლის 14 ნოემბერს ამერიკის მეცნიერებათა აკადემიამ გამოაცხადა მსოფლიოს სხვადასხვა კვლევითი ინსტიტუტების ერთდროული დასკვნა შესახებ იმისა, რომ ღვინის თავდაპირველი სამშობლო საქართველოა და ეს ღვთაებრივი სასმელი 8 ათასი წლის წინათ სწორედ საქართველოდან გავრცელდა მთელ მსოფლიოში.

როცა ვამბობ, ჩვენ უნიკალური, აბსოლუტურად უმაღლესი კულტურის, უძველესი ერი ვართ-მეთქი, ზოგიერთი სულელი ამას ვაიპატრიოტობად მითვლის.

როგორც ქართულ ღვინოს და ქართულ ანბანს მიანიჭა იუნესკომ კულბლაუჭებით?

დედა კატამ ქუჩა გადაირბინა. კბილებში თავი უჭირავს და კნუტებისთვის მიაქვს.

რა დიდებული, ათასწლოვანი სურათია;

შვილებისთვის მზრუნველი დედა. რა უბერებელი სიკეთეა... მაგრამ ერთი თავს ჰკითხე.

გვალვია კახეთში. ათასწლოვან ცაცხვს ფოთლები უწყლოობისგან შეჰღუნვია, გამაგრებია, გაუხეშებია...

ცაცხვი აღარ შრიალებს. ადამიანებს ცაცხვისთვის ირგვლივ ასფალტი შემოუსალტავთ.

ასფალტის არტახებში სულს დაფავს დავით აღმაშენებლის მხილველი ცაცხვი.

გული შეწუხებია. ასე მგონია, ეს უკვე ცაცხვი აღარ არის, ცაცხვის ძეგლია.

მგონი, მეათასეჯერ ვკითხულობ „ვეფხისტყაოსანს“.

როგორ უჯერებს სიტყვა. აი, როგორ ხატავს ფარსადანს ერთი სტრიქონით:

„ტანად ლომი და პირად მზე, ომად მძლე, რაზმთა მწყობელი“.

„დიდაცო“ მოსაქედოებში ჩანიშნულები

ალბათ, არ იცოდა იმ კეთილმა კაცმა, რომ პირად ცხოვრებაში ჩემზე უბედური კაცი არ არსებობს. ოცი წლის ერთადერთი შვილი დამელუპა რუსებთან ომში.

არც მწერლობაში ვარ დიდად ბედნიერი. არავიზე არ დანერილა იმდენი ლანძღვა-გინება, რამდენიც ჩემზე. ხოლო 1999 წელს ხელისუფლების კრიტიკისათვის მწერალთა კავშირიდან გამრიცხეს, 2007 წელს კი (მაშინ უკვე მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი გახლდით) ჭკუასუსტმა სააკრავილმა ჯერ 600 მწერალთან ერთად მწერალთა სასახლიდან გამოგვაცხევა, ხოლო სამი თვის შემდეგ 307 პროფესორთან ერთად - უნივერსიტეტიდან.

აი, რა „ბედნიერი“ ვარ. ნაიკითხეთ ჩემი ახალი რომანი „ნამება“ და ნახეთ, რა ბედნიერი შეი-

მალიზიანებს ყოველდღე ამინდის ბიუროს „ამაყი“ განცხადებანი: „დღეს სოხუმში მოსალოდნელია მცირე წვიმა ელჭექით. ტემპერატურა 20 გრადუსი, ხოლო ცხინვალში ცვალებადი მოღრუბულობა 17 გრადუსით.

ვისთვის ვაცხადებთ ამინდის პროგნოზს?

რუსებმა და ნაძირალა აფსუებმა და ოსებმა სოხუმსა და ცხინვალში ქართველები აღარ დატოვეს...

დავიჯერო, ქართველთა სისხლისმწოველ „ჩვენს ძმებზე“ ზრუნავს ამინდის ბიურო?!

იქნებ შევარდნაძის ყბადაღებულ „ღირსეულად დაბრუნების“ მითს ვებლაუჭებით?

► 1 გვ.

ტურული მემკვიდრეობის მსოფლიო სტატუსი, ისე უნდა მიაწიოს ეს საპატრიოტი ტიტული ქართულ სიმღერას და ქართულ მწერლობას.

თანაც დაუყოვნებლივ.

ტრაბახში არ ჩამომართვით და ჩემს მოკრძალებულ შემოქმედებაზე 14 წიგნია დანერვილი. ყველა ავტორს უღრმეს მადლობას მოვახსენებ, მაგრამ განსაკუთრებით მიყვარს შალვა ამინაშვილის 2003 წელს გამოცემული წიგნი.

ბატონი შალვა, ალგეთისპირელი გლეხი, სოფელ ჯორჯიაშვილში ცხოვრობდა. პროფესიონალი ლიტერატორი არ არის და ყოველ ჩემს ნოველას უმატებს თავის თავგადასავალს.

ამას ისე ალაღად და ბუნებრივად აკეთებს ხოლმე, რომ კითხვის დროს ხან ვიცინი და ხან ცრემლი მერევა.

აი, ნამდვილი მკითხველი.

წარსულ საუკუნეებთან შედარებით მსოფლიო ბევრად გაჯანსაღდაო, სადღაც ამოვიკითხე.

მართლაც და, დღევანდელი სამედიცინო გადასახედიდან რა იოლად მოსარჩენია ავადმყოფობებმა იმსხვერპლეს დიდი ადამიანები: 33 წლის ალექსანდრე მაკედონელი ფალარათმა იმსხვერპლა, ნაპოლეონს კუჭის წყლული სტანჯავდა, ჰიუგო ბუასილმა იმსხვერპლა, თამარ მეფე „უმნიშვნელო“ ქალურმა ავადმყოფობამ, დავით აღმაშენებელი ფილტვების დაჩრდილვამ...

რუსთაველი? იქნებ წნევამ აუწია მოხუცს და ერთი აბი „კაპტოპრილი“ საკმარისი იყო მის გადასარჩენად?

ბედის ირონიაა, აბა რა არის.

მე, ალბათ, ისე ჩავალ საფლავში, რომ ქართველი მწერლებისთვის მიხეილ სააკაშვილის მიერ წარმეული კუთვნილი სასახლის დაბრუნებას ვერ მოვესწრები. სასახლის, რომელიც სარაჯიშვილმა და ხომტარიამ გვიანდერძეს.

ხომ იცის ღმერთმა, რომ მე შენობის დასაბრუნებლად ბრძოლა-ქიჩი-მაჩი არ დამიკლია, მაგრამ მწერალთა მოქალაქე ხელისუფლებასთან ვერას გაეხდით.

ქართველი მკითხველი ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი გემოვნებით და მადლობა ღმერთს, რომ რაც კალამს მოვკიდე ხელი, მისი ყურადღება არ მომკლებია.

თუმცა ჩემს მკითხველებში „ტყემალზე მჯდარიც“ გამოერია.

25 თებერვალს (2018 წ.) ვილაც სულელმა დამირეკა; რას ერჩოდი ეროსი მანჯგალაძესო. დავიბენი. მინდოდა მეთქვა, ჩემი ნოველა „ეროსი და პარტიზიურო“ ეროსის გამოსაქომაგებლად და გასახსენებლად დაწერე. ნოველაში გაკრიტიკებულია „პარტიზიურო“ და ნაწევნებია, დიდი მსახიობი როგორ დასცინის რაიკომის ინსტრუქტორს და საერთოდ „პარტიულ მუშაობას-მეთქი“. ეროსი ჩემი უსაყვარლესი მეგობარი იყო, შენ კი ნოველა ვერ გაგია-მეთქი, მაგრამ ვინ გაცალა.

გზა ფართო



გიორგი ლეკვიშვილი

აკოტის ალაგორია

აკილამ მიპოვა აკვანში მძინარე, მგელ მამას ვიქულდი და უარმყო, გამრიცა, ტროპიკულ ტყეებში შიშველმა ვიარე და მერე შემოსა ბალუმ და ბაგირამ. მე ვცხოვრობ ჯუნგლებში, ჩემს საუკუნეში მსოფლიო ველური შერპანის მსგავსია, დამსდევს და ბრძოლებში, ლირიკულ ომებში, დაცემა ახალი ადგომის ფასია. მთვარეზე შევნიშნე მზის ნაფეხურები, ზღვა თითქოს მინაზე მოსული ზეცაა, ჯუნგლებში ჯამბაზსაც ვერ გაეხუმრები, რამეთუ სიმართლე სიცრუის დედაა. ვიძინებ ხის მკლავზე, ფოთლები მათობენ, მსოფლიო კას მსგავსად გველია ცვიერი, აკრძალულ ნაყოფზე მითები ამბობენ, დატოვა ევამო ადამი მშვიერი. მზეს ასწრებს ადგომას ლაშქარი სპილოთა, ხორთუმით საბრძოლო ყიყინას დასცემენ, ღამეა და ვუძლებ დაცინვას წეროთა მაღლიდან ნისკარტით დირეს რომ ეძებენ. უცხოპლანეტელს მამსგავსებს შერპანი,

ყანჩებმა გამართეს წვიმაში ალღუმი, ცდილობენ წამართვან ადამის მერანი, რადგანაც არა მაქვს ეშვი ან ხორთუმი. კვირა დღით ისვენებს სიცოცხლის შემქმნელი, ამიტომ ოდისევეს უბრძანე სქელტუჩა, იმღეროს, ლხინია დღეს ჭირის შემცველი, ღმერთ პერსევს ჰადესი თუ არ შეეურჩა. ქალწულ აფროდიტეს სიცოცხლე ვაჩუქოთ, ვიმღეროთ ერატო ან პოლიგიმნია, ბალუ, მდინარის უკულმა გავცუროთ, ზოგისთვის ბოდვია, რაც ჩვენთვის ჰიმნია. აიეტს სანმისი მოპარეს ბერძნებმა, მედეამ ღალატი არჩია სამშობლოს, მეც შორს გამიტაცეს შიმპაზთა ხელებმა, მცირე კაცს კი უნდა მსოფლიო ჩაყლაპოს. ერთ წრეზე ატაროს და ერქვას პლანეტა, კოსმოსის თვალდან ადვილად სამართი, ათენის სამოსი მოარგოს რა კრეტა, ხოლო რეალურად ენოდოს ჯალათი. ვარსკვლავი შენიშნა ზეცაზე პეროდემ, მნიგნობართ უბრძანა დახოცვა ჩვილების, რახელი ჩემზედაც იტირებს, გჯეროდეს თუ მაიმუნისგან ბალუ არ მიშველის. რუსეთი - შერპანი, კა - ოსმალეთია, მეფე მაიმუნთა კი - არაბები, მუმლი მუხასავით მეც შემომესია, სადაა ცხრა ძმა და ის არაგველები. მტერმა მოიტაცა ალგეთის ლეკვები, ცა - გორგასლიანები ხვიჩა და გოჩა, რა განძზე გავცვალო ეს ვაზი, ეს მთები, ვის მივცე სათელად ქართული ეს ჩოხა. იომა დავითმა, აილო თბილისი, და ოთხასწლიანი ჩამოსხნა უღელი, მიშველა ბაგირამ, მეც განვთავისუფლდი, დავტოვე ჯუნგლები და წუთისოფელი. დღეს დათვურ ძილზეა მოფლიო ჯვარცმული, ზამთარი არ კმარა, ზაფხულშიც იძინებს, სულში მაქვს გიპნოზის ფესვები ქართული და გულშიც ლეგენდა ქართლოსის გიზგიზებს. მე ვცხოვრობ ჯუნგლებში, შემარქვეს მაუგლი, მშობლების დაკარგვამ მაქცია ტყის შვილად, ხანდახან ვერთობი, როგორ ვთქვა აუგი, ბუნებამ როდესაც მაჭამა, მიშვილა.

უნდობლობა

მაქვს სული ნაქირავები, წერა არასდროს მებზრდება. დამსდევენ ნაძირალები და მეც ეშვები მეზრდება.

ვუჩივი ხშირად დათვურ ძილს, ნაცარქექიებს ვამტყუნებ, დავშორდი ტაძარს ძილის წინ, ლოცვასაც აღარ ვაბოდებ.

მზე არ ჩანს, ჩრდილი დამყვება, რქები გამოსდის ორმხრივი, აქეთ სიკეთე დაძვრება, იქ სიბოროტე ორპირი.

სადაა ჩემი მიზანი, სად დაიკარგა ნათესი. ყლორტები არ ჩანს მზიანი და არც ის ძველი ანკესი.

მე აღარავის ვენდობი, გარდა საკუთარ თავისა, ცხოვრებას ჩემით ვეცნობი, შორს ყველა ბინძურ თვალისა.

მაგრამ ამტკივდა მარცხნიდან, ახლობლის და მტრის ჭრილობა, ვერ გამოვდივარ მარცხნიდან და არც მჭირს თავდახრილობა.

სასლის შეცვლა

მომბზრდა სიტყვების შერჩევა, კისერზე დალი მემჩნევა, ხან მგუდავს ხალხის შემჩნევა, ხანაც თამბაქოს შეჩვევა. ვტოვებ ამ სახლსაც, გავდივარ, ღრმა ჩახველება მიმყვება, მე ჩემი თავის ბარგი ვარ, მძიმე წერტილის მიგნება.

ჩემი ოცნება

ჭარბობს ამინდების დეპრესია, შენც კი შემოგიჩნდნენ ძუნ მკავებში, ჩემთვის შენი დარდიც ალერსია, ლანდად არეკლილი ლურჯ თვალელები.

გულზე ნაოჭებად მეხვევიან, სიყვარულს ნაჩვევი მიმიკები, ვფიქრობ, არასოდეს დაჭკნებიან, ცის ქვეშ იმდენია გვირილები.

სანოლს მოგიქსოვ და გადავხურავ აკვანს ბავშვებისთვის ლიანებით, მერე ოკვანეს გადავცურავ ხელით და არა იალქნებით.


მზის და დედამიწის სადღაც შუა, ვმღერი მთვარის მსგავსად არეული, ფიქრმა რეალობა შეიტყუა: შენ ჩემს ოცნებად ხარ არჩეული!

ძმობა

ერთი ძმა მზეში გავიდე, მეორე ჩრდილში დატოვოს? ჯობია ტყეში დაიბნეს, შემთხვევით დათვმა დატოროს.

ერთი ძმა იხვეჭს სიმდიდრეს, სხვა ძმები ჭირში ცვიოდეს? ჯობია შეხვედ სიმძიმეს ზამთრის და ძლიერ ცვიოდეს.

ერთი ძმა გარბის ბრძოლიდან, სხვა ძმები ღვრიან სისხლს და ოფლს? ან დააკელი ძმობიდან, ან ის დააკლდა მონაყოლს.



ბაგრატ ბადიდი

მასხოვს სადგური კობტად ნაგები, მატარებლები, ლიანდაგები.
ორთქლის მანქანა, ეს რკინის ცხენი, შემოდოდა სადგურში ქშენით.

აქ, ამ ქალაქში უბინაო პოეტი დადის, ესალმებიან და არავის არა აქვს დარდი, - რომ ამ ქალაქში უბინაო პოეტი დადის.

რას წაიღებენ ის ქურდები ჩემი სახლიდან, როცა რაცა მაქვს, მეგობრებო, ზედვე მაცვია".

გზადაგზა ნაფიქრი

თუ ვერ ივარგებს დურგალი, ეტყვიან: არ გაქვს ცენზიო, არც ღვინოა და არც წყალი, პოეტი უპრეტენზიო.

არა ვარ „ც“ ნაწილაკი, კალამი ჩემი ცხენია, არასდროს არც ერთ პოეტთან თავი არ შემირცხვენია.

მანუხებს დარდი ულევით ბახვას, ბიკენტის, ფარნასი... აქ არის ჩემი სამშობლო, აქ არის ჩემი პარნასი.

თუმცა მეც მხიბლავს ის მარში, არა მაქვს პატიფონი, წუხელ ვიხილე სიზმარში დიდუბის პანთონი.

ვხედავ ეზოს კობტად მოვლილს, დგას ტაძარი სვეტიცხოვლის, ლოცვასავით ცაში აღის... მიპყრობს განცდა სიდიადის.

ჩემს განწყობას ვერ აგინერ, დგას ჰაერში სუნნი მაჭრის, თითქოს მე ვარ არსაკიძე და მარჯვენას ვილაც მაჭრის.

„სამოცდაათი წლის პოეტი ქუჩაში მიდის“.

გალაკტიონ ტაბიძე

სამოცდაათი წლის პოეტი ქუჩაში მიდის, ხალხს ესალმება... მშვენიერი არის ამინდი. არ იცის ხალხმა, დღეს რომ გახდა სამოცდაათის და ეწრიტება პოეტს მისი დრო და საათი... და შუბლს უმკობენ ქარიტები დაფნის რტოებით, სამოცდაათი წლის გახდა დღეს ის პოეტი.

რაზო მიშველაძეს

ხარ მოარული აკადემია, ცეცხლი ხარ, ცეცხლი ჩაუქრობელი, მართლაც გეკუთვნის შენ ის პრემია, ის დიდი ჯილდო ალფრედ ნობელის.

მასხოვს: შეგიქო მწერლის კალამი დიდმა ჭაბუა ამირეჯიბმა, ვედარც ნიჭით და ვერც სითამამით დღემდე ვერავენ ვერ გაგეჯიბრა.

მე ისიც ვიცი, რომ ხარ ნათლული ძვირფასი ლადო ასათიანის, ამიტომა გაქვს სული ქართული და ხარ სპეტაკი ადამიანი.

და უღრენ, როგორც ქოფაკი ძალი მოშურნეებს და სულგაყიდულებს, ბოროტთან ბრძოლა ვერასდროს დაგლლის, ხარ გულთა ჩვენთა მესაიდუმლე.

ვერ დაინუნებს შენს წიგნს წუნია, მკითხველიც შენგან შედეგს მოველით და კარგად გიცნობს მთელი დუნია, როგორც მწერალს და როგორც ნოველისტს.

მეცა მაქვს ჩემი გზა და სავალი, მხიბლავს დიდებაც, მაგრამ არც ისე, ვარ დიოგენეს შთამომავალი და აღარ ვცემ პატივს ნარცისებს.

შენ კი გეკუთვნის ჯილდო, პრემია ალფრედ ნობელის, ალფრედ ნობელის... ხარ მოარული აკადემია, იდუმალი და შეუცნობელი.

უცნაური ამბავი

ბალადა

თქვენ გაგიგიათ, ხალხო, არნოლდ შვარცენეგერი? გუბერნატორი, მსახიობი და კულტურისტი, თაყვანსა სცემდა ამერიკა, ნაცია, ერი, ძეგლი დაუდგეს, მოდიოდა ძეგლთან ტურისტი.

იქვე სასტუმრო ააშენეს და მის გახსნაზე შვარცენეგერი მოიწვიეს, გახსნა არნოლდმა, „ერთი ნომერი შენ გეკუთვნის“, - მას უთხრეს, ჰოდა, მოკლედ რომ გითხრათ, პატივი სცეს და დააფასეს.

გამოხდა ჟამი და არნოლდი, შვარცენეგერი, როცა ყველაფერს ჩამოსცილდა, გახდა უბრალო ამერიკელი მოქალაქე და ამ საბრალო იმ სასტუმროში მოითხოვა ერთი ნომერი.

იქ რომ ამბავი დატრიალდა, არ ითქმის ენით...

განბილებული არ დატოვეს არნოლდი ჩვენი?

„არაო, უთხრეს, არა ხარო გუბერნატორი, არც მსახიობი არა ხარო, არც კულტურისტი...“

ნომერი რატომ უნდა მოგცეთ, სერ, მისტერ, რისთვის?!

გაიკვირვებს და, შენ ხარ ახლა ჩემი ბატონი,

შიგ არ შეუშვებს (რა თქმა უნდა მუქთად, უფასოდ).

თქვენ ალბათ, იტყვიან: ეს კლიენტი ყველას უყვარსო,

მეც ასე ვფიქრობ, მაგრამ ვიცი, ერთი ამბავი:

როცა არავინ მიაქცია მას ყურადღება, გარეთ გავიდა, დაიმდაბლა არნოლდმა თავი

და თავის ძეგლთან გადაწყვიტა საბნის დაგება.

ლეიბი მართლაც დააფინა და დანვა ზედვე

თავისი ძეგლის სიახლოვეს, ისე, ვით ძალი.

ხომ ხედავთ, ხალხო, რა აკადრეს, რა გაუბედეს,

ქუჩაში იწვა, საკუთარი არ ჰქონდა სახლი.

ძეგლის კვარცხლბეკთან იწვა იგი, სასტუმროს ახლოს,

ასეთი რამე დაემართა იმ საწყალს, ხალხო.

აქ ვინა წევსო, კითხულობდა ხალხი, ვინაო,

ინვა არნოლდი შერცხვენილი და უბინაო.

რისი თქმა სურდა ამით არნოლდს? ჰო, იცით, რისი?

არაფერია ცისქვეშეთში აქ მარადისი...

არც სახელი და დაფასება ანუ პატივი და ყველაფერი არის თურმე, უფრო მარტივი.

ცირკია, ცირკი ეს ცხოვრება და კარუსელი და თუ ბიჭი ხარ, აბა, მიდი და გაუძელი.

„არაბული ცხენის გული ექვს კილოს იწონის. ამ გულის ფეთქვას რა შეედრება?!“ გრიგოლ რობაქიძე

ვეშაპის გული რომ იწონის 600 კილოგრამს,

ეს გაგიგიათ? (ვილაც ალბათ, თითებს ილოკავს).

და სხვათა შორის, წვიმის ქიას ხუთი გული აქვს...

უგულო კაცი ცხოვრებაში დაკარგულია.

ქართულ და ებრაულ ხალხთა მეგობრობის სუბტილური

გასული წლის ბოლოს საქართველოს მწერალთა კავშირში მოენყო ქართველ ებრაელთა პოეზიის ანთოლოგიის პრეზენტაცია, რომელშიც გამოქვეყნებულია 65 პოეტის ლექსები: აქედან მხოლოდ სამი პოეტი, მედეა ჯანაშვილი, ია პალტაგაშვილი-ხანუქაშვილი და ლია აჯიაშვილი-მიხელაშვილი ცხოვრობს საქართველოში, დანარჩენი მწერლები, საქართველოდან წასვლის შემდეგ, უმეტესად დასახლდნენ მათ ისტორიულ სამშობლოში, ნაწილი კი სამწუხაროდ – ევროპისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მიმოიფანტა... ეს ანთოლოგია არის ქართველ და ებრაელ ხალხთა მეგობრობის საგალობელი, წიგნში კარგად არის ნაჩვენები ის დიდი სიყვარული, რაც ებრაელებს გააჩნიათ თავისი სამშობლოს – საქართველოს მიმართ, ჩანს ის ტკივილიც და საოცარი ნოსტალგიაც რაც მათ თან გაჰყვათ საქართველოსა და მათი წინაპრების საფლავების მიტოვების შემდეგ...

ამ პრეზენტაციაზე ისრაელიდან სპეციალურად ჩამოვიდა პოეტი – რობერტ აჯიაშვილი, რომელსაც საქართველოს მიმართ გამორჩეული სიყვარული გააჩნია და ამ სიყვარულს მთელი მისი ოჯახი გულით ატარებს... შეხვედრამ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია.

შეხვედრა გახსნა და ქართველ და ებრაელ ხალხთა დიდ მეგობრობაზე ისაუბრა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ბალათერ არაბულმა.

სიტყვით გამოვიდნენ: ისრაელის ელჩი საქართველოში შაბთაი ცური, საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარეები რევაზ მიშველაძე და მაცყალა გონაშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი გურამ ოდიშარია, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე ალექსი გრიგალაშვილი, ჯამლეტ ხუბაშვილი, ზაირა დაეარაშვილი, ბადრი ქუთათელაძე, გივი შაჰნაზარი, ნოდარ კობერიძე, ვაჟა აზარაშვილი, მადონა კალანდია, კობა არაბული და სხვები. პრეზენტაციის ბოლოს, მწერალთა კავშირის გადამწყვეტილებით ქართველ ებრაელ პოეტთა ანთოლოგიის გამოცემისათვის და საერთოდ, ქართულ-ებრაულ ურთიერთობებში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მწერალი და მეცნიერი შალვა წინუაშვილი დაჯილდოვდა ქართული კულტურის ამავდარის დიპლომით, ხოლო პოეტი რობერტ აჯიაშვილი – ქართული კულტურის დესპანის დიპლომით, ამასთან ერთად რობერტ აჯიაშვილი და ისრაელში მცხოვრები მწერალი ნუგზარ ჯანაშვილი არჩეული იქნენ საქართველოს მწერალთა კავშირის საპატიო წევრებად! შეხვედრაზე დაისახა საქართველოში და ისრაელში ქართველი და ებრაელი მწერლების ურთიერთობის გაღრმავების სამომავლო გეგმებიც.

გთავაზობთ ანთოლოგიაში დაბეჭდილ რამდენიმე პოეტის ლექსებს:



ნანა შაბათაშვილი

ავტოპორტრეტი

წარმოიდგინე, ეს დღეც გათავდა, ჩამოიზამთრა ჩვენს სათოხარში, ქალი, რომელიც სიზმრებს ხატავდა, შენ და ის ახლა მარტონი დარჩით.

და შეგაშინა ფერთა სიცივემ, სადღაც ელვა კრთის, გაქრა ხალისი, თანდათან ნატვრაც ჩამოიცილე და ახლა მხოლოდ ქარის ხმა ისმის.

სევდის დედოფლის ცისფერ ამაღას აღარად უღირს ოქრო და ვერცხლი, ხარ დასევდილი და თმაჭალარა და ტკივილამდე შეძრული ლექსი.

ქანაანიდან... ვიდრე მცხეთამდე

წარღვნილ მიწაზე თვალის გახელამ ცა იგუმანა და ქმნა ნადილი, ზეთის ხილის რტოს ქარი არხევედა, აქაფებოდა პირი სამძიმრით. „არა კაც ჰკლაო...“ — მოძღვრეს შვილები, მოსეს კვერთხით და ფარით დავითის, დადის ამ ქვეყნად ხსნა და იმედი — შეუწირავი თეთრი კრავივით. უდაბნოდან ყვირთელი ქარი, უდაბურობის სტუმარი ხშირი, ნიოდა, ვითარც გოლგოთას ზარი, არ აღესრულა საღათას ძილით. ...ეს ყველაფერი თუმცაღა იყო, ვიდრე ვერანი ქარით დაგეშილს, ჯიჯგნიდნენ სხეულს მარადს და თვითმყოფს და ზამთრის სევდა იდგა თვალეებში. ვიდოდით დიდხანს, არცთუ ამაოდ და ბოლოს მაინც შენ დაგესახლეთ, ჩვენო კერავ და ჩვენო კარავო, ქანაანიდან... ვიდრე მცხეთამდე. ცა — მტრედი, ლურჯი ხილვით გაბრწყინდა, ქარი რა არის ისიც ვინატრეთ; სიზმრების ჭრელი სამალავიდან აღმოიჭურვა ჩვენი სინათლეც. თუმცაღა იყო, — როცა ვენამეთ... გაპობილ ზღვათა უნაპირობას, ვითარცა მწირი იმ ცა მენამულს მივიწყებული ქნარიც სტიროდა.



რობერტ აჯიაშვილი


ჩამო თბილისო!

ჩემო თბილისო, მწარე დროებამ სულიერად გამანადგურა, გემუდარები, „თითქოს გაგექვც“ — არ დამაბრალო, გთხოვ შეიბრალო, შენს კალთაში გაზრდილი ბავშვი, სიყმანვილიდან რომ უყვარდა შენი სამყარო! მე ჩემმა ბედმა აქამომდე მახეტიალა, შენზე ფიქრებში მოვიარე ზღვები, მთა-ბარი, ახლა კი, ვზიდავ დაცილებას მძიმე ჯვარივით, ვერსად ვერ ვპოვე შენისთანა თავშესაფარი! კაცის გული კი მუდამ, ყველგან რაღაცას ეძებს, მე კი ცოდვების შესანდობად მოვალ შენამდე და დაჩოქილი, შენს ფეხებთან დანარცხებული, აფეთქებული, ჩემი ლოცვა ავა ზეცამდე! სანთლებს დაუწუნეთ შენს დიდებას ჩემო თბილისო, ვერ დავივიწყებ შენს სიყვარულს, გულში რომ დამარჩა, წარსულს მიხატავს მოგონება თანაცხოვრების, დავრჩი უგულოდ, მქონდა იგი და შენთან დარჩა! ახლა უშენოდ აქეთ-იქით ცოდვებს დავატრევ, შენზე ვლოცულობ, პატიებას შენგან მოველი, ღმერთო, ნუ მომკლავ, ერთხელაც თუ არ ჩამახუტო, ჩემი თბილისი, ჩემი სულის სვეტიცხოველი!

ფიქრნი ზღვის პირას

(შემოკლებული ვარიანტი)

ამაღლებული სულით — გულით სადღეგრძელოს ვსვამ იმ ნოსტალგიის, ისრაელში გულს რომ ატირებს, მე იმ მიწა-წყლის დიდებისა მინდა დავლიო, მოსაფერებლად შენთან მოსვლას როს დავაპირებ. მონატრებისას დიდი სევდით ვსვამ სადღეგრძელოს და იმ ცრემლების, ჩემს თვალეებს რომ ჩამოსდენია, უაფხაზეთოდ მკერდდაჭრილი დავიარები და მეც თქვენსავით „ბაირახი“ სახელი მქვია... და აი, ახლაც ისრაელის მცხუნვარე მზის ქვეშ, ხმელთა ზღვის პირას თქვენზე ვფიქრობ, ბედს არ ვნებდები, ვზივარ და ვდარდობ ლიძავაზე, სოხუმ-გაგრაზე, ლანგებს მისველებს ცრემლები და ვგრძნობ, რომ ვბერდები. ტალღა მოგორდა, ჰკოცნის ნაპირს და მომაგონდა შავი ზღვა, გაგრა საყვარელი და მაგნოლია, აგერ თოლიაც ჩამოგდარა უშიშრად გვერდით, სოხუმში ვარ-თქო, ასე ვფიქრობ, ასე მაგონია...



ნუგზარ ჯანაშვილი

მამა

მე მივდიოდი გაზაფხულიდან აფეთქებული ნუშების რიგით. მზე ჩადიოდა... და გზას უფლისას ეფინებოდა არყოფნის ბინდი.

მე მივდიოდი ნაცნობი გზებით — უცნობი იყო მხოლოდ დაისი. ვტიროდი უხმოდ, მხურვალე გზნების დაცლილი იყო ყველა სასმისი.

„ნაწნავს სურნელი დაჰკრავს მახობლის“ — მივალ... ნასვლაა ალბათ უცილო. „შენ სახლობ ჩემი ფიქრის მახლობლად“: დარდი უთქმელი... სევდა უძირო...

გამოსათხოვარი

მე დავიბადე შენს თბილ უბეში და დღემდე დამაქვს სითბო უღვევი, შენა ხარ ჩემი სვე და ნუგეში ჩემი ოცნების ნაცსაყუდელი. მე შენთან ერთად გზები მივლია და ერთგულებით ვიყავ მაღალი, გულში ღალატი არ გამივლია წმინდად ვატარე ძმობის ალაში. გეტრფოდი შენ და ყველაფერს ქართულს, რაც ნაღდი იყო და რაც ქართული და წუთისოფლის ბრუნვაში ჩართულს მთრგუნავდა სევდა და სინანული. მენანებოდა, როცა ანგრევდნენ, მიყვარდა, როცა სძულდათ და კლავდნენ და ძმათა შორის გათხრილ სანგრებზე დაჭრილი გული მესვენა მკლავზე. არ ვანსხვავებდი გვარით და ჯიშით, ვეძებდი მართალს და კაცს გულიანს, მწამდა სინდისის დაკარგვის შიში, სხვა შიშს ჩემს გვერდით არ ჩაუვლია. ავად თუ კარგად — დღემდე მოვედი სიკეთის წილი არ მითხოვია, მე სხვანაირად ვერ ვიცხოვრებდი და სხვანაირად არც მიცხოვრია. მშვიდობით, ჩემო ტკბილო სამშობლოვ, ცის ნამო, მზესთან თანაზიარო, ღმერთმა მამოროს, ღმერთმა გვაშოროს სიტყვა აუგი და საზიანი. მე შენზე ფიქრი გამყვება ყველგან გლოცავ, გეხვევი და გვეყვები... მშვიდობით, „ჩემო კარგო ქვეყანავ“ — მხარვე მიტების და ლეგენდების.

დილარ ივარდავა

ბასოვდეს მუღაბ

ამქვეყნიური დავიდარება
ხშირად დახვანჯულ დღეთა ხლართია,

დაველოდებით

მხატვარ რეზო ადამიას

ვით ქმნილი სიზმრად
განცდა უჩვევი,
რომელიც მუზის ვნებას მოდენის;



ვისი ხარ ნუკრი გაზრდილი,
ახდენავ ღვთიურ ქადილის, -
კოკორგახსნილი ვარდივით

სხივი ხარ - ოქროს დილაო,
ნექტარჩამწვეთი გულის,
ვინა თქვა, გრძნობა ილევა

ვატყობ: შენ გენიც მოგძახის,
ქალი ხარ ყოვლად სრულია,

ვისი ხარ ნუკრი გაზრდილი,
გამხარებელი ამ დილის!

ვით გაკვეთილი

სივრცე გარინდდა... ფიფქი ფათქუნით
ქარმა სახეში შემომაცარა,

სულ უცაბედად,
მოულოდნელად

მეხმა უცაბედ გადაიკარა
ქართა ძალუმი სულის შებერვით,

ჟამთა ტვერიდან
ევქსინის პონტი,
ხან პონტი იყო,

ჟამს სიბერის

ვით ნადირი დათოფილი უთვლელჯერ
გაქცევია მონადირის უფლებებს,

ის, რაც თან ახლავს

ცალ-ცალკე ვზიდეთ რა ჭირ-ვარამი -
ალარ გვენერა ჩვენ ყოფნა ერთად,

ცრემლი ყელში მეზინება,
გამაცურეს ვეზირებმა -
ციცქნებმა და ვერზილებმა,

ექოც კი მაკრთობს ქართა გოდების...
ამ დროს მადონა ნახირს მოდენის,

როცა საშველი არ ჩანს არსაით

შენს ტბურ თვალბუმი
ჩამდგარა მთვარე
ლელ-ნამნამებით შემორაგული,

ძარღვებში სისხლად ედინა
ჩემს ილორს-მექას-მედინას,



გასაგ გასვიანი — 80

80 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი, პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე გასაგ (აკაკი) იპოლიტეს ძე გასვიანი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო გასაგ!
ჩვენო ძვირფასო მეგობარო!
საქართველოს მწერალთა კავშირი დიდი პატივისცემით მოგესალმებათ ღვანლმოსილ მწერალს, მკვლევარს, ღირსებით გამორჩეულ ერისკაცს და გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 80 წლისთავს.

ფართო საზოგადოება თქვენ გიცნობთ, როგორც თვალსაჩინო პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეს. იყავით საქართველოს პარლამენტისა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და ყველგან უშურველად იხარჯებოდით თქვენი მშობლიური კუთხის სადიდებლად. აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის წლებში იარაღით ხელში იცავდით სამშობლოს და ბოლომდე ფეხი არ მოგიცვლიათ აფხაზეთის მთავრობის სახლიდან, როგორც მის მცველსა და ჭეშმარიტ მეციხოვნეს. დღესაც მტკიცედ გნამთ, რომ უფლის წიხით ყველაფერი ისე დასრულდება, როგორც სამართლიანობა და სამართალი ითხოვს და ყველანი ერთად ვიზიემებთ აფხაზეთში და აფხაზეთის დაბრუნებას...

დიახაც რომ გვახარებს ასეთი მამულიშვილის ჩვენს რიგებში ყოფნა, იმ პიროვნებისა, რომლის პირველი წერილი, 1955 წელს გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“ რომ დაიბეჭდა, სწორედ ქართული ენის პრობლემებს ეხებოდა. ქართული ენის დაუცხრომელ გუშაგად გვეგულებით დღესაც.

თქვენი ნოველების კრებული „მზის სიმღერა“ მონონებით მიიღო მკითხველმა, რადგან მათში შესული ნაწარმოებების ნათლად ეტყობა ზნეკეთილი, ბრძენი, ღრმად განსწავლული შემოქმედის ხელი...

ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი წერილები ტვიციან ტაბიძის, ამრიდონ ჩეგვიანის, ციალა არდაშელიას, აზა ბასლანაძის შემოქმედებაზე.

„მამა, დააგდე თოფი“ — ასე ერქვა თქვენს პიესას, წარმატებით რომ დაიდგა სოხუმის სახელმწიფო თეატრის სცენაზე.

როგორ შეიძლება არ ითქვას ისიც, რომ ამ სოლიდურ ასაკშიც კი ყმანვილური შემართებითა და ჟინით იკვლევთ კაცობრიობის ცივილიზაციის სათავეებს, ფილოსოფიურ ახსნას უძებნით სიცოცხლეს, ცდილობთ გაერკვეთ სამყაროს წარმოშობის საიდუმლოებებში. ყოველივე ეს სრულად აისახა თქვენს ისეთ სოლიდურ გამოკვლევებში, როგორცაა „ქართული ანბანი-სამყაროლოგია“, „სიცოცხლის ფილოსოფიური ახსნა“, „სამყაროსეული

მოძრაობა“, „ცივილიზაციის სათავეებთან“. ეს ნაშრომები თქვენს ფართო თვალსაჩინო მიგვანიშნებს და კიდევ იმაზე, რომ მუდმივად მაძიებელი სულის პატრონი ხართ...

თქვენი ცალკეული ნაწარმოებები თარგმნილია უკრაინულ და რუსულ ენებზე...

არჩეული ბრძანდებით აფხაზეთისა და ფაზისის მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილ წევრად. ჩამოაყალიბეთ და დიდხანს ხელმძღვანელობდით საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაცია „ლემს“, ენეოლით პედაგოგიურ მოღვაწეობას, იყავით ჟურნალ „რინის“ პროზის განყოფილების გამგე, აფხაზეთის განათლების მუშაკთა კულტურის სახლის დირექტორი...

თქვენი მხედრული შემართება ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით აღინიშნა.

ძვირფასო გასაგ!
კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს მსცოვან შემოქმედსა და მოქალაქეს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ჩვენი საერთო სანატრიონის აღსრულებას.

საქართველოს მწერალთა კავშირი


მადლობა უფალს!
წარღვნა მიწელდა - ცარგვალი დანდა,
მზემ შეისრუტა ნისლეული.
და... მე გავჩნდი!
დიდება უფალს!
მან გამაჩინა და დამანათლა სიბრძნე,
ძალი და ახოვანება მისეული.
დიდება უფალს!
ჩემს საცხოვრისში იდგა სიუხვე,
იდგა მშვიდობა,
გულდაჯერებით დავალაჯებდი
მთასა და ბარში.
და მე ვხარობდი!
ვმრავლდებოდი
და მოვიმღეროდი დრო და სივრცეში.

და მოვდიოდი შრომით,
და მოვდიოდი ბრძოლით,
მინას ვეკვროდი ბაგით,
მტერს ვუხვდებოდი გორდით.
მწვერვალზე ტაძარს ვდგამდი,
ღმერთებზე ჰიმნებს ვწერდი,
ჯვარი მოვიღე მკერდით -
გალობა აღვუვლინე.

იფიტებოდა სული,
ფხა წართმეოდათ კაცთა,
წახდენა იყო სრული
ამგვარ ყოფაში დაცდა.

ჰოი, ლილეო!
მუშლი მუხასას!
და
ოდოია!
უფლის მოყმეთა მოძახილებმა
მთა-ბარი დაძრა.
ზეცა გაიხსნა -
მინა განათდა:
შეერთდა ერი!
ვივსები ღონით,
ვივსები გონით
და ვამსხვრევ ბორკილს!

კვლავ აიშალნენ დემონები
და ზენას იპყრობს ქვენა,
ყაჩაღს შეეკრა ფარისეველი,
თავს ასალეზენ დამხსნელად ქვეყნის,
ვის ახსოვს ერი?



ვახტანგ ჭანკოტაძე - 85

85 წლისა შესრულდა მსცოვანი, ამაგდარი მწერალი და მეცნიერი ვახტანგ რევაზის ძე ჭანკოტაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ვახტანგ!
ჩვენო ნაცადო და ერთგულო მეგობარო!
საქართველოს მწერალთა კავშირი პატივისცემით მოგესალმებათ ღვანლმოსილ შემოქმედს, ფართო თვალსაჩინო მქონე პიროვნებას და გილოცავთ დაბადების 85 წელს.
თქვენ მწერლობაში ტექნიკური სამყაროდან მობრძანდით. ათწლეულები იღვანეთ გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობაზე, გაიარეთ სახელოვანი გზა ლაბორანტობიდან სწვლულ მდივნობამდე, ხელმძღვანელობდით სამრეწველო ობიექტებს, გაქვთ არაერთი სამეცნიერო შრომა, ათეულობით გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება...

თქვენი სამწერლო დებიუტი კი 2003 წელს შედგა, როდესაც ცალკე წიგნად გამოეცით პოეტური კრებული „ლეგენდები“. მას შემდეგ ნაყოფიერად მოღვაწეობთ ლიტერატურულ ასპარეზზე, თქვენი მოთხრობები, რომანი, ლირიკული და საბავშვო ლექსები, მცირე ზომის ჩანახატები, ესეები, იუმორისტული ნაწარმოებები სისტემატურად იბეჭდება პრესაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

გემოვნებიანი ქართველი მკითხველი მუდამ ინტერესით ეცნობა ხოლმე თქვენს როგორც პროზაულ („ბედისწერა“ — რომანი, „მინიატურების ალფი“), „ალმასა“, „აჯაფსანდალი“, „იგავ-არაკები“, გველების სასაფლაო“, ისე პოეტურ („მხიარული რითმები“, „ლეგენდები“, „მტენის ნაჟური“, „კიბის 75 საფეხური“, „ბოლო ვაგონის ლექსები“, „სითბო ჩემკენ და ჩემგან“, „ნოსტალგია“...) კრებულებს, რომლებსაც დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე შემოქმედის ხელი ატყვია. გორში ცხოვრობთ, იქაურობას ეთაყვანებით, მაგრამ სიზმრებში მაინც მშობლიური კახეთის სანახები გამოკრთება ხოლმე, ნადიკვარისა და ბატონის ციხის მადლი დღემდე მოგდევთ.

უყურადღებოდ არც პატარები დაგიტოვებიათ, რომლებსაც ძალიან მოსწონთ თქვენი საყმაწვილო ლექსებისა და გამოცანების კრებულები „იხარეთ“ და „აბა, გამოიცანი“.

ავტორი ბრძანდებით მეტად საყურადღებო წიგნებისა, ისეთებისა, როგორცაა „გენერალი გორიდან“, „პუბლიცისტიკა“, „თიკუნები“, „ბერმუხა“, „ვიტია“, „კაცი-ლეგენდა“, „გორელი გენერლები“...

ბატონო ვახტანგ!
გვახარებს, რომ ამ საკმაოდ სოლიდურ ასაკშიც არ გაგნელებიათ საერო საქმეების კეთების წყურვილი და ჟინი.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას თანამოკალმეს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და მშობელი ქვეყნის გაბრწყინებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

მონა ვარ მაშულის

რამ დათვალოს, რა გამოლევს სადიდებელს და საქებს, დასავლეთს და აღმოსავლეთს ლალ-ზურმუხტით ათრობდი, ზამთრობით და ზაფხულობით ჭედდი ბედის გასაღებს, დასამლერს და გასახარებს ამკვიდრებდი კაცობით, ფარ-ხმალს როდი აჟანგებდი — (ასე იყო საჭირო), ღმერთმა გადაგარჩინოს, რომ უპატრონო მონაგარს, ონავარს და მოლაღატეს ნუ დაუთმობ სალხინოს — ვსვამ ღვინოს და გადღეგრძელებ, მხოლოდ შენი მონა ვარ!

ილიას სამაია

საგურამო,
ყვარელი და
წინამური —
მინას შურით უცქერია
ხატის მტრები,
ხალხის ნებით დგას ილია
გიგანტური,
იმავ გულით, ობელისკით,
ყვარლის მთებით.
რაც ვერასვს დაგვაგინყა
ცამ უდარომ,
სათუთად რომ შევინახეთ
ფიცანაური,
გვიკლავს წყურვილს, როდი გვტოვებს
სამუდამოდ, -
საგურამო, ყვარელი და
წინამური.

ხმაური

ზვავის მოწყვეტას შევსწრებივარ
მიუვალ მთებში,
ხმა შემაზრუნენი მომწვდენია
მძლავრი ხეთქების,
მომისმენია გმინვა წყლისა
ჩახერგილ ხევში,
გზის გასაყვანად ატეხილი
ხმა აფეთქების.

სულის სიღრმემდე ჩამწვდომია
ჩანჩქერის ხმები,
აისბერგების შეჯახების
შიშიც მქონია,
სხვა ჟღერადობით აღიქმება
ტკაცუნი ძვლების,
ფარდის ახდის წინ ინსტრუმენტთა
კაკაფონიაც.

შეგაზანზარებს უეცარი
ჭეჭა-ქუხილი,
წყვდიადში კენტად გასროლილი
ტყვიის გოდება,
მინისძვრის გრუხუნს თან დაჰყვება
მძიმე წუხილი,
ომის ხმაური აცამტვერებს
აზრს და გონებას.

ზოგს ეამება, ზოგს ალღევებს
ლურჯი ზღვაური,
უმძიმესია მოსასმენად
ყიჟინა მტრების,
მაგრამ ყველაზე საზარელი
არის ხმაური,
ჩასასვენებლის სახურავზე
დაყრილი ქვების.



ქვემოთ

პარლო ჩხიკია-პურიშვილის

თქვენს წინაპარს როცა ტყე-ტყე ხეტილი არ ღლიდა, მაშინ ჩემი წინაპარი სახარებას თარგმნიდა.

ღისკვი

ოს-რუსთაგან ოტებული დესეველი ამ სოფელში დაბრუნებას ისევ ელის.

ღსინი სოფელი

წავედით ღორზე - მომყვება კაცი. შენვეს, მოხარშეს... მწვადი, ყაურმა... კაცს ღამის გასძვრა ჭამისგან ქანცი, თუ დააყრუა სუფრის ხმაურმა.

წავიდეთ-მეთქი, აღარ მისმენდა, რალაცა დარჩა ჩასალმურძლავი, ყველამ დატოვა სუფრა მის მეტმა, ძლივს ავაყენე მასა უძრავი.

ქალაქს მოვდივართ, აბა, ნეტა სად გადაგვკარგავდა მშობელი გორი. რა დრო ვატარეთ, ჰაი, დედასა! ვიყავით ღორზე, მომყვება ღორი...

უმცროს კოლეგას

სოსიაშვილმა უკვე წიგნების დადგა მწვერვალი. კარგი ქართულით, თემის მიგნებით დადგა მწერალი.

მას უნახავად ძალუძს აღწეროს ნიუ იორკი. ლიტერატურულ ზეცას ლალ წერით სერავს გიორგი.

საგამოცდო ტანტი

ჯავახიშვილის (როგორც ჩვენი კლასიკოსების) ნაწარმოებნი რად არიან სახეირონი? შეუსწავლია გულმოდგინეს მას იქ ოსების ზნე და ჯაყოსგან დაუხატავს სახე ირონის.

მიპატიჟება კონცერტზე

ჩემთვის უაზრო ატყდა კამათი - რა უნდა რაჭულ გვარებს ქართლშიო. არაფერი მწამს ახლა ამათი, დადგენენ, რამდენიც უნდათ არჩიონ.

ნუ მარჩიელობ, გურუკო მესხო, ვინ ჯავახია, ვინ აჭარელი, წამო, თეატრში წავიდეთ, დღეს ხომ სტრავინსკის უკრავს ინა ჭარელი.

შემკულა ქალის ყველა თვისებით, კელაპტრისებრი ალის მფრქვევია. შემიმჩნევია, გელათისებრი ტაძრის ღირსებით სვლა რომ სჩვევია.

ასეთი ქალი რომ მოგენდობა, უნდა კენტობა განზე გადასდო, რომ მას გადასდო სულის დენდობა, რათა შენდობა გქონდეს ათას დროს.

ტყუპის ცალი? - მარტო ვიშვი - არა მყოლია და უხამსი გართობის ჟინს არ ავყოლივარ. ღამაზ სპექტაკლს ვუმზერდი კულისებიდან. ჩემი მითქვამს ეულს ერთი გულისცემითაც. უკანასკნელ მაცდურ ვნებებს ბრძოლით ვშორდები, თუმც მძახდნენ, მაცთუნებდნენ ჰორიზონტები - ფართო სივრცე, ფართო ფარდა, ფართო მიწები... მარტო ვიყავ, მარტო ვარდა მარტო მივწვები.

ვისიზმრება

მარი აბრამიშვილის სსოვნას

ჭაბუკას, სუფთას, გულაგიანს და მარის, იმასაც გულაგიანს, ლექსნი რომ ბალიშქვეშ ულაგია... თეთრ დათვსაც ყინულის ბუნაგიანს, შურიან კოლეგას, გულნაგიანს.

კოეტიანს

მე შემოძლია, სიამოვნებით გიძღვნათ ვარდები, მე შემოძლია, თქვენი ლექსები ვაქო, უეჭველია, თქვენ გათხოვილი არა ბრძანდებით, უნდა გახსოვდეთ, ბერბიჭაშვილი თაკო!

სამი ღრო

თვალვებთან როგორ დააბი ბინდი? გამსკდარ ბრონეულს გიგავს სიცილი, გაზაფხულია და აბიბინდი.

ითოშებოდი გუშინ სიცივით, ბატიბუტივით ტკაცუნობს კვირტი, უნდა გაიქცე ხნულში კვიცივით.

ვის გადაეცი ფლირტივით ტვირთი, ვინ ზიდავს შენი შენდობის იმედს, ხელში მშიშარა ჩიტვივით მითრთი.

ის ტვირთი იყო საკმაოდ მძიმე, მიჯობს იცინო, ვიდრე იტირო, აქ არ ვსვამ წერტილს, აქ მე ვსვამ მძიმეს, ხვალ უსიკვდილოდ მოდი, სიკვდილო.

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, უცხოეთში მცხოვრები ცნობილი მწერალი და მეცნიერი ალექსანდრე პოტიომკინი წარმოშობით საქართველოდანაა. მისი რომანები მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. ნობელის პრემიის ნომინანტი ალექსანდრე პოტიომკინი ქველმოქმედებითაცაა ცნობილი. ამ დღეებში რედაქციაში უნივერსიტეტის პროფესორის ნათელა ნადიბაიძის წერილი მივიღეთ.

დიდი მადლობა, ბატონო ალექსანდრე!

ჩვენს ძალიან რთულ და ზოგჯერ უღმობელ დროში, როდესაც შესუსტდა და ზოგჯერ დაიკარგა კიდევ თანაგრძობა და ურთიერთმხარდაჭერა, განსაკუთრებით დასაფასებელია მოულოდნელი უანგარო დახმარება.

დამჭირდა ძვირად ღირებული გულის ოპერაცია. დაზღვევის მიერ გამოყოფილი თანხა არ აღმოჩნდა საკმარისი. მე დამატების საშუალება არ მქონდა. მერიამ მიზერული თანხა გამოჰყო. მეგობრების დახმარებაზე კატეგორიული უარი გამოვაცხადე, რადგან ბევრი ღამის უკანასკნელს მთავაზობდა და ოპერაციის ბედი გაურკვეველი იყო. ამ დროს სრულიად მოულოდნელად დამირეკა ცნობილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ალექსანდრე პოტიომკინმა და მორიგ შეკრებაზე მიმინვია. მე ჯანმრთელობა მოვიმიზეზე და მან მაშინვე დახმარება შემომთავაზა, მაგრამ მე ვუპასუხე, რომ ყველაფერი მოგვარებულია და მადლობა გადავუხადე.

მეორე დღეს დამირეკა ქ-მა მაცვალა გონაშვილმა და პოტიომკინის დავალებით მომთხოვა, ყოველგვარი მიზეზის გარეშე დამესახელებინა თანხა. ყოველივე ეს ძალიან მოულოდნელი იყო, მაგრამ ამან გადაამარჩინა და ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა.

მე ვერასოდეს ვერაფრით ვერ გადავიხდი ამ ადამიანის სიკეთეს, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ღმერთი ყველაფერს ხედავს და ამ ადამიანს და მის ოჯახს ყოველივე სიკეთით დაუბრუნდება. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა, ბატონო ალექსანდრე!

ნათელა ნადიბაიძე



ნატალია ზღვისპირელი (ნატო კოკაია)

ჩემი ქოხი

ენგურს მიღმა ახლაც ტირის ჩემი ქოხი, სხვა სასახლე გულმა ვერსად დაიგულა, საუკუნის მეოთხედი მიილია, მე ყველა სახლს მირჩევნია ის სუხულა. ენგურს მიღმა ღამეც ტირის, ვარსკვლავებიც, ლედვის ხეზე შემომჯდარა „გურმეჭვია“, უჩვენობით მთელი ეზო დახუნძლულა, მონატრების დიდი სევდა დაენვია. ხიდთან მელის ძუძუმტე და ჩემი ქოხი, დახშული მაქვს გულის ყველა სადინარი, ფეხშიშველმა მოვიარე ყველა კუთხე, არ მშორდება, არ შუშდება სატკივარი.

სოსუმელი ვარ

საიდან ხარო, მეკითხებიან, სოსუმელი ვარ, ვამბობ ხმამაღლა და მერე გული პნკენას დამინყებს, აქ ბოშა ქალიც გამითამამდა. მე სოფლის ბოლოს ვიყიდე სახლი, თითქოს მამალიც არ ყოფივს არსად, საიდან ხარო?... მეკითხებიან, სოსუმელი ვარ, ვიძახი აქაც. სოსუმელი ვარ, ტკივილი ჩემი

მე მეზმანება ძილშიც და ცხადად, ბეჭებზე მადევს ჩემი სოხუმი და ჩემს ეზოში მე შავი ზღვა მაქვს. როგორც სოხუმში, პალმები დავრგე და ნიჟარებით ავაფსე ფსკერი, ჩემი ქალთევა გამომყოლია, ლურჯი ზღვისა და ტალღების ფერი. ბოტანიკური ბაღი მოვიწყვე, აბაკით მოვრთე ჩემი ზღვის ფსკერი, ჩემი ქალთევა დაცურავს ზღვაში, გემი მაკლია მე მხოლოდ სახლში. მე შევძლებ, ალბათ, ავაგო გემიც, მთვარიან ღამით ავშლი იალქნებს, მერე წყვილია ჩამოდგეს თუნდაც, შენს ნაპირს სული მაინც მიაგნებს. ფიქრებით მე აქ გადმოგიტანე, რა მწვანედ ჰყვავის ჩემი ნაპირი, ყველაფერი მაქვს, შენ მენატრები, მთელი დღეები შენს გზას გავტირი. მინდა, ვერ გავხდი მე თბილისელი, სოსუმელი ვარ იქაც და აქაც, მე თბილისურად ყავას ვერ ვხარშავ, ჩემთან ქვიშაზე თუხთუხებს ყავაც. თქვენ მოგონილი გგონიათ ლექსი, მე აქ ვერაფრით გავიდე ფესვი, მოდი, მესტუმრეთ და დაინახავთ, თუ როგორ ცხოვრობს სოხუმი ჩემში.

უშენობა...

იქნებ უშენობას შემაჩვიო, მოდი, ნუ იქნები დაზაფრული, სული მომიფინე ყვავილებით, ჩემში აყვავილე გაზაფხული... მოდი, შემომეჭერ, როგორც ქარი, მოდი, უშენობით გადავხუნდი შენი ყვავილებიც გადამიხმა, ჩუმად ამიტირდა გაზაფხული. მოდი, უშენობას შემაჩვიე, ქალი გელოდები ნაფერები, ჩემთან ყვავილობენ ნარცისები, მოდი, გაურთე სხვა ფერები... მოდი, მომიტანე ყვავილები, თორემ მოგიკვდები ნაფერები...



ნალი ნეკერიშვილი – 75

75 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი ნალი პავლეს ასული ნეკერიშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ქალბატონო ნალი!
საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები სიყვარულით მოგესალმებიან შესანიშნავ შემოქმედს, სინმინდისა და სიკეთის მატარებელ ბრწყინვალე მანდილოსანს და გილოცავენ დაბადების 75 წლისთავს.

პირველი ნაბიჯები სამწერლო ასპარეზზე 1970 წელს გადადგით, როდესაც ჟურნალ „ცისკარში“ ლექსები გამოაქვეყნეთ და ქართველი მკითხველი თქვენი სულის ლაყვარების თანაზიარი გახადეთ. მას შემდეგ თქვენი ლექსები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

რა საოცრად მომთხონი და დაუნდობელი ხართ საკუთარი შემოქმედების მიმართ სწორედ ამიტომ, რომ ლამის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ხუთად ხუთი პოეტური კრებული გამოეცით („დამაბრუნე მზიანეთში“, „მშვენიერი გალავანი“, „ფერადი ველი“, „სამოთხის ჩიტის სიმღერა“, „მიყვარხართ“), რომლებმაც სრულად დაიტია მხოლოდ თქვენთვის დამახასიათებელი სევდიანი ლირიზმი, გულწრფელობა, ქალური სინაზე და კდემამოსილება, სიტყვის გამძაფრებული გრძნობა, სისადავე და განცდათა მრავალმხრივობა.

თქვენი პოეზიის ლირიკული გმირი თითქოს სიყვარულის ტაძარში გამოკეტილია და არსთაგამრიგეს შესთხოვს, რომ მისმა თანამოძმეებმა არ დაკარგონ ამ უდიადესი გრძნობის მადლი და მირონი, რომლის გარეშეც ყველაფერს აზრი დაეკარგებოდა; კარგად იცის, დიდზე დიდი ძალისხმევაა საჭირო, რომ ოქროს ეფენებმა და ზანზალაკებმა ქვეყნიერებას ამცნონ სამოთხის ცისფერი ფრინველის – სიყვარულის დაბრუნება. საკუთარ ტკივილებზე აგებს უქათათეს საყდარს, ცაცხვის ხეებს სიყვარულის ცრემლებს ჩუქნის და გოლეული მიაქვს შესანიშნავად. იმ ბედნიერ დღეზე ოცნებობს, როცა საქართველო ყველა უბედურებისა და წარღვნისაგან დაცავს თავს და სათაყვანო მამულის მკერდზე ვულკანებივით იფეთქებენ გაზაფხულები. მართლაც ძნელია, მკითხველი გულგრილი დარჩეს თქვენი ზღაპრული სამყაროს მოხილვის შემდეგ და თან თქვენმა ტკივილიანმა შეძახილმაც არ დააფიქროს, რომ თუ რამ დაღუპავს კაცობრიობას, გულგრილობა და ლალატი დაღუპავს. ამიტომაცაა, დარდის ხალიჩას რიკულებიან აივანზე რომ ამზებებო, რათა ტანჯვისა და სიყვარულის ყვავილები ადამიანთა თვალების შუქმა გააბრწყინოს და გააციაგოს...

თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია რუსულ და სომხურ ენებზე.

სხვადასხვა დროს მუშაობდით საქართველოს სახელმწიფო საგემო კომიტეტთან არსებული გამოთვლითი ცენტრის ლაბორატორიის უფროსად, გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკად და ყველგან საკუთარ სულსა და გულს სდებდით.

გვახარებს, რომ თქვენი შემოქმედება დიდებული ანა კალანდაძის პრემიით აღინიშნა.

ქალბატონო ნალი!

კიდევ ერთხელ სიყვარულით მოგილოცავთ საიუბილეო თარიღს მშვენიერ შემოქმედსა და პიროვნებას, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით გამარჯვებებს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ნანა ქარდავა – 50

50 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი ქალბატონი ნანა ზაურის ასული ქარდავა. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ქალბატონო ნანა!
ჩვენო ძვირფასო თანამოცამემე!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედს, უმშვენიერეს ბანოვანს, ქართული მწერლობის აფხაზური ფრთის მნიშვნელოვან წარმომადგენელს და გილოცავენ დაბადების 50 წლისთავს.

თქვენ თქვენი არსებობით ყველას შეგვახსენებთ, რომ ჭეშმარიტ შემოქმედს სუსტი და უნაზესი მხრებითაც კი ძალუძს თუნდაც დროებით დაკარგული სამშობლოს გამო გამოწვეული დიდი ადამიანური ტკივილების, სევდისა და დარდის ღირსეულად ტარება, საკუთარ სულში სათუთად შენახვა და მოვლა იმ უმშვენიერესი ყვავილისა, სათნობა და სიკეთე რომ ჰქვია სახელად.

თქვენი პირველივე მოთხრობა „ჩვეულებრივი ზღაპარი“ 1998 წელს ცალკე წიგნად გამოიცა. ასე დაიწყო თქვენი საინტერესო მწერლური ცხოვრება, რომელიც აი უკვე ოცი წელია რაც გრძელდება და ლამის მთლიანად აფხაზეთის — ჩვენი მარგალიტის წარსულთან და აწმყოთან ნიშანდებული.

თქვენი პროზაული კრებულები „ეშა ემუხვარი“, „მზის ბილიკი“, „სახლი“, „ცა, რომელიც ჩემია“ და სხვები ის სხივებია, რომლებიც აფხაზეთთან გვაკავშირებს და არ გვაძლევს მისი დავინწყების უფლებას. ამ წიგნებში თქვენი მწერლური ნიჭიერებაც სჩანს და მშობელ კუთხეში დაბრუნების ისეთი მძაფრი დაუოკებელი ნყურვილიც, რომელსაც ვერაა ძალა დაუდგება წინ.

თქვენი პუბლიცისტური კრებულები „რაც იყო“ და „სოსუმში, უსახლო ქუჩაზე“, ფოტოალბომი „მე-19 საუკუნის აფხაზეთი ფოტოპორტრეტებში“ სიამაყისა და ქედუხრელობის განცდით გვმუხტავს და იმ რწმენითაც აღგვატებს, რომ ერთ მშვენიერ დღეს სულიად საქართველო გამთლიანდება და გაბრწყინდება კიდევ.


სხვადასხვა დროს მუშაობდით საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციის რეფერენტად, ექიმ-პედიატრად, საქართველოს დევნილთა და განსახლების მინისტრის თანამშემედ, აფხაზეთის იუსტიციის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტად და არქივის თანამშრომლად, აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის უფროს სპეციალისტად და ყველგან მშობლიური კუთხის ინტერესებს ემსახურებოდით. თქვენი ინიციატივითა და თაოსნობით ხომ აფხაზეთისადმი მიძღვნილი არაერთი ღონისძიება გაიმართა.

თქვენი ღვნა და რუდუნება აფხაზეთის გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიით აღინიშნა. მონიჭებული გაქვთ აგრეთვე რევაზ ინანიშვილის სახელობის პრემია და პრემია „გიორგობიდან გიორგობამდე“.

ჩვენო ნანა!

კიდევ ერთხელ მონიშნებით მოგილოცავთ საიუბილეო თარიღს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და მომავალი იუბილის სოსუმში აღნიშვნას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ვლადიმერ ველიჯანაშვილი-75

75 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი ვლადიმერ პავლეს ძე ველიჯანაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ვლადიმერ!

ჩვენო ძვირფასო კოლეგა!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან სამცხე-ჯავახეთში მოღვაწე ქართველ შემოქმედთა გუნდის ერთ-ერთ ჩინებულ წარმომადგენელს, ღირსეულ მამულიშვილს და გილოცავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 75 წლისთავს.

მართლაც რომ მეცხოვრებ უდგეხართ მშობელ ქვეყანას სამცხე-ჯავახეთში, საქართველოს ამ მართლაცდა უმკაცრეს და, ამავე დროს, უმშვენიერეს კუთხეში და ქართული სულიერების, ქართული ცნობიერების აღორძინებას ემსახურებით, ყველაფერს აკეთებთ, რათა ბნელეთის სახედალმევილმა მოციქულებმა აღარასოდეს შექმნან „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ქართველთა დიდი გვემისა და ვაების დავთარი...

პირველი ლექსი „გაზაფხული“ 1965 წელს გამოაქვეყნეთ გაზეთ „განახლებულ მესხეთში“ და მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები პერიოდულად ქვეყნდება ქართულ პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი მონონებით შეხვდა თქვენს პოეტურ კრებულებს („მარადიული შთაგონება“, „ხმაურის ფიქრი“ და „პოეზია 89“) ამ კრებულების ავტორი მოაზროვნე და საწუთროებაზე ღრმად დაფიქრებული შემოქმედია, რომელსაც ვერაფრით ვერ შეაწყდენს ცრუ და ძალთაპირი ამოცანა ამოთა. თქვენს ლირიკულ გმირს ხომ ჩაღლისფერი უყვარს — სითბოსა და სიმწიფის მარადიული შთაგონება, რომელსაც ტკივილიანი წარსული აწერია, ჩვენი მარადიული სევდით სახვე წარსულის ფერი. ქართული ცის ტრფალია და ამიტომაცაა, რომ ლექსად აჭიხინებულ რამებზე შემომჯდარი მიაპობს კოსმოსურ სივრცეებს და იქიდან დაჰყურებს მტკვარს, ვერცხლის ქამარივით რომ შემორტყმია სამცხეს ნამგვემ სანახებს და მისი მარადმედინი ჭრილობებიდან გამოხობილი მიყურებული ექოების ჭირისუფალია. მერმე დალილი და დაქანცული მზის სხივის ვინრო ბილიკით უბრუნდება მშობლიურ სანახებს და დაჰყურებს, მოთენთილი და დასიცხული მზე როგორ გდია რიყეზე და ნელიად თვლემს; როგორ კენწლავს სველ ფოთლებს წვიმა, როგორ აცვდება ლალისფერ სიზმრებს მარაოსავით გაშლილი ქარების ხსოვნა, როგორ უკანრავს ქარი მისი გრძელზე გრძელი თითებით მოუთოკავ სიზმრებს...

ბატონო ვლადიმერ!

რაც თავი გახსოვთ, ალაღად, გულმართალი კაცის ცხოვრებით ცხოვრობთ. ათწლეულების განმავლობაში ემსახურებოდით მშობლიური სოფლის ფხურის მოზარდი თაობის სულიერ ფორმირებას, როგორც სკოლის დირექტორი და ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, იყავით ადიგენის რაიონული გაზეთის „განახლებული მესხეთის“ ლიტერატურული მუშაკი.

დაჯილდოებული ხართ გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ პრემიით, აგრეთვე განათლების სამინისტროს საპატიო სიგელებით და სახალხო განათლების წარჩინებულის სამკურდე ნიშნით.

კიდევ ერთხელ დიდი სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ღვანლმოსილ პოეტსა და მოქალაქეს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალი სასახელო ფურცლების ჩაწერას თქვენი მშობლიური კუთხის მატიანეში, იმ კუთხისა, რომელსაც ასე ძალიან უხდებით და ასე ძალიან სჭირდებით.

საქართველოს მწერალთა კავშირი



მიმოზა ცანავა

ნამდვილი ქალი სომ ქალია!

ნუ იტყვი, ცხოვრება დამთავრდა და შენთვის არავის სცალია, სიცოცხლის სულ ბოლო ნუთამდე, ნამდვილი ქალი ხომ ქალია! ნუ იტყვი სარკეს თვალს არიდებ, რომ გაზაფხულებიც მწყრალია, ვარდს სურნელება ხომ თან ახლავს, ნამდვილი ქალი ხომ ქალია! ნუ იტყვი, არაფერს არ ელი, და შენი ცხოვრებაც ქარია, ყვავილი ყვავილად დარჩება, ნამდვილი ქალი ხომ ქალია! ნუ იტყვი, არსად არ გელიან, თვალებს ნუ არიდებ ცვარიანს, წლებსაც ხომ თავისი ხიბლი აქვს, ნამდვილი ქალი ხომ ქალია. დახუნძლულ დღეებზე იფიქრე, ასე რომ გამშვენებს ლალიანს, დღე გაილამაზე ოცნებით, ნამდვილი ქალი ხომ ქალია. ცხოვრების დახატულ სურათებს, ასე ეფერები ძალიან, ასეა ბუნების კანონი, ნამდვილი ქალი ხომ ქალია! წამებს ნაამბორალს წარსულის, წამით გაიხსენებ ალიანს, სკივრში შეგინახავს ბარათი, ნამდვილი ქალი ხომ ქალია! ეშხით მოუყვები შვილიშვილს, რომ ქმარი – რაინდი, ფარია, მერე მოგონება გაგათბობს, ნამდვილი ქალი ხომ ქალია! ასაკი მძივებად ასხმულა, დღეებს ეკეკლუცე დარიან ქალი სიყვარულის მზეა და ნამდვილი ქალი ხომ ქალია! წლები უსწრაფესად მიჰქრია, დარდისთვის შენ სადა გცალია, ვარდი მონყვეტილიც სურნელობს, ნამდვილი ქალი ხომ ქალია! სიმწვანეს სიყვითლე შეერწყა, ბუნებამ ფერი ფერს გარია, სუნამო რად გინდა, ისედაც სურნელობ, ქალი ხომ ქალია! ცოლი ხარ, დედა ხარ, სატრფო ხარ, უფალი გფარავდეს ჯავრიანს, დარდები გარეკე სულიდან, ნამდვილი ქალი ხომ ქალია! ღიმილი, ღიმილი გიხდება, ნაქარალს, ნასევდარს, ბრალიანს, ცხოვრების მიზანი შენა ხარ, ნამდვილი ქალი ხომ ქალია! სევდის, მარტოობის სუდარა ქარებს გაატანე ძალიანს, გაიგაზაფხულე, აენთე, ნამდვილი ქალი ხომ ქალია. მომავალს უშენოდ ვინ შექმნის, სიცოცხლის სანყისი წყალია, მწყურვალს აწყურებ და ამშვიდებ, ნამდვილი ქალი ხომ ქალია!

ოცნების ქალი

კარებთან ვდგავარ ავსებულები ლამაზ განცდებით, გამიღე კარი, მე ნამდვილი ვარ, გულიანი, ნამდვილი ქალი! ამანრიალა ლამის ჭინკამ, ამენვა თვალი, რატომ ვერ იგრძენ, რომ ქალი მერქვა, ნამდვილი ქალი! მზის სხივთა გროვამ ამომიშრო ნაცრემლი თვალი, მე ნამდვილი ვარ, სიყვარულით ნამული ქალი! არ ვისურვილე მინიერი მარგალიტ-ლალი, მე ნამდვილი ვარ, ზღაპრებიდან მოსული ქალი! ცად ავიჭერი, შემეფეთა მუზა, ვით ფარი, მე ნამდვილი ვარ, ფიქრიანი ოცნების ქალი! კარებთან ვდგავარ ანთებულები, განცდებით მთვრალი, შენ თუ ხარ კაცი, {თან ნამდვილი,} გამიღე კარი!

თბილი სურნელი...

არ მიყვარს ცვალებადობა, ყველაფერს ვგრძნობ და ვეჩვევი, თბილ მოგონებებს წარსულზე ველარ ჩარეცხავ ვერც ცრემლით. ძველი კიდობნის სურნელი სულში სიამით მეღვრება, ბედნიერებას მანიჭებს წარსულთან წამით შეხება. ყველა ნივთს წლები თან ახლავს და სიელვარე ფერების, ხელებს როდესაც შევახებ იმ დღეებს კვლავ ვეფერები. დედის ნაჩუქარ პერანგებს მისი სურნელი თან ახლავს, ძალიან ძნელად თუ ვგუობ ხელშეუხებელ სხვა ახალს. ან საქორწინო ბეჭედი მზესავით მწვავს და ამანთებს, ვესაუბრები, ვით სატრფოს სასიყვარულო ბარათებს. სულიერსა თუ უსულოს სულ ერთნაირად ვიფერებ, რა გულჩვილობა დამჩემდა, ეს რა ყოფილა სიბერე. მიყვარს, რაც წარსულს მახსენებს, ჩემს ძველ ნივთებთან ვსაუბრობ, ხან გაცრეცილი ია ვარ, ხანაც უეცრად ცა უზნობს... და ყელს გაჩხერილ ცრემლის ბურთს, ცრემლის მდინარეც თან ახლავს, მონატრებისთვის ლახტები გულს უმონყალოდ დალახვრავს. უტიფრად ამედევენება მოტირალს დარდის წვიმები, სილას შემაყრის ყვირილით და უმალ გავინიერები. გარდასულ დღეებს ვიბრუნებ, ნაჩვევი ძველი ნივთებით, ასე ნელ-ნელა შევცურავ ფიქრების ზღვაში ფიქრებით. თავიდან ვინყებ ოცნებას, ვით ყმანვილქალი სულელი, და ვიფერადებ ცხოვრებას, ნაჩვევი, თბილი სურნელით.

დავით იაკობიძე

გაუჩინარდა მზე შავ ღრუბლებში, არემარემაც ფერი იცვალა, დღე გაეხვია ზღვის სილურჯეში, თითქოს ხალათი გამოიცვალა. სძინავთ ვარსკვლავებს, ლამის ყვავილებს, - აუკეციათ თითქოს ფოთლები, მათ ჭკნობას გულში როგორ გავივლებ, მე ხომ სიცოცხლეს მათ ვესესხები. შუბლგახსნილია ირგვლივ ტაროსი, ცის ანგელოზებს, ვერ ვხედავ ჩიტებს, ქარი გაჰკივის, ვით ტარტაროსი, ყოველი მხრიდან მაცდურად მიტევს, ვიცი, მზე კვლავაც გამოანათებს, დაანაფლეთებს შავ-ბნელ მანტიას, არ მეშინია კვლავაც იბრწყინებს, ჩვენს სასიცოცხლოდ ისევე ანთია.

მესხებს

მეამაყება ჩემი ასპინძა, ჩემი დიდგორი, ჩემი მარტყოფი, ბევრ მტერ-მოყვარეს მან უმასპინძლა, ვნუხვარ, რომ თქვენთან არ ვარ ნამყოფი. მედგრად ედექით სამშობლოს ფარად, ურჯულოების სისხლი გიღვრიათ, მანდ სარეველამ ვერ გაიხარა, ამაში თქვენი ლომის წილია. მესხეთის ცაო, ბევრის მნახველო, შენი დიდება მზისებრ გაბრწყინდა, ხარ ღირსეული, ხარ სასახელო, მეამაყები, როგორც მთანმინდა. მანდ დაიბადა მესხი მელექსე, მისი ლამპარი ჩაუმქრალია, დღესაც კაშკაშებს ზღვა და ხმელეთზე, პოეზიაში ის მწვერვალია. მესხეთის ცაო, ბევრის მნახველო, შენი დიდება მზისებრ გაბრწყინდა, ხარ ღირსეული, ხარ სასახელო, მეამაყები, როგორც მთანმინდა.

სიზმარი

ო, ღამეები თეთრი, მოგონებები მწველი, გაელვარება მკვეთრი, ვით მოქნეული ცელი. თვალმარგალიტის მძივი, მუხლმოდრეკილი მრევლი, ხმა ყინულივით ცივი, ღმერთმა დასწყევლოს ქვეყნად, მოუსვენარი ძილი.

მაინც ნახვადი

ყველა სურვილი ვერ შეგისრულე, ცეცხლში რომ ვიდექ მას არ გაყვედრი, ვდევიდი შენგან ბოროტ ავსულებს, მაინც მიმუხბლე, მაინც ნახვედი.

აღვიწყვა

მოგონებები გარდასულ დღეთა, - ვით ბუნდოვანი ლამის სიზმარი. დრომ ჩამოყარა სიმრავლე წელთა, შენ დარჩი მუდამ გაუხუნარი. ხასხასად მოსჩანს მზეზე სიმწვანე, შენთან ხომ მუდამ გაზაფხულია, მე ოხრად დამრჩა, რაც კი ვინამე და ყოველი დღე დაზაფრულია. დაველოდები გამოდარებას, ცაზე იმედის შუქი კიაფობს, გულს გადაფუშლი ჩემს მხსნელ ღვთაებას, არდავიწყების სურვილს მიაბობს.

ცისკრის ნათებას

მწვერვლებიდან ამოგორდა ბრიალა მთვარე, მკრთალი ნათელი მოეფინა მთებსა და ჭალებს, სიოს ჩურჩულზე აშრიალდა ტყენი მთვლემარე, ვარსკვლავთა ხომლი, მოციმციმე, ცაზედ ელვარებს. გოლიათურად გადმოხრილა წინ მთების ჩრდილი, თითქოს აღვირი აუნყვიტავთ კლდიდან ჩანჩქერებს, აჰა, სულს ლაფავს იქ სიბნელე, ღონემიხდილი, ცისკრის ნათებას ვერაფერი ვერ შეაჩერებს.

არ გაქადრებათ!

„თუ ერთი გაბზარული თაობა დამხვრეტს, მეორე მკვდრებით აღმადგენს. სიცოცხლე არც დაბადებით იწყება და არც სიკვდილით მთავრდება“.

ეს სიტყვები უნიჭიერეს ქართველ ახალგაზრდა პოეტს გიორგი ძიგვაშვილს ეკუთვნის, რომელიც საქართველოს თავისუფლების სანატრიონს შეეწირა. დიახ, საბჭოთა კომუნისტურ-ბულშევიკურმა მონსტრმა 1942 წელს სიცოცხლეს გამოასალმა პოეტს, რომელსაც შეეძლო ქართული მწერლობის მშვენიერება გამხდარიყო.

მცირე ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა, მაგრამ რაც დატოვა, დღესაც ბავშვლო ოქროსავით ბზინავს, დღესაც არ დაუკარგავს პენი და ბრწყინვალეა. როგორი პოეტი იყო? აი, ასეთი:

მე რომ პატარა ქალი მიყვარდა -
ლამით შევხვდი და არ დამიღამდა,
შუქი კმაროდა მისი,
დავინწყე, მაგრამ თვითონ დამასწრო:
-ცოლად გამომყევ, ქალო,
ამას მეტყვიო, ვიცო.

მეც ხომ პირველი ნახვით ვიცანი,
ჩემი ოჯახის სიძე ვინც არი,
ან მე ვისიცი ვარ რძალი...
დავინწყე, მაგრამ ისევ დამასწრო -
ახლა ცეცხლოვან ისრად დამასრო
ორი კაშკაშა თვალი...

რომ გაგყვებიო, სულ დავედინე,
ოჯახს მოვუვლი, სახლში ვიჯდები,
თავს ვანაცვალე ქმარ-შვილის,
ასე ამარად, ასე გიყვივით,
თრიალეთური ქარის ყივივით
როდი ვივლიო მაშინ...“

შეგდა, შემხედა და გაეცინა,
მეც არ მიხდოდა კიდევ მესმინა -
ცას გავცქეროდი მწყრალი...
იქ ვარსკვლავები ბრწყინავსა ყველა,
აქ კი ის ერთი ციციანათელა,
ერთი პატარა ქალი.

ნუ-მეთქი, ვუთხარ, კარგი ხარ ისე,
მე შენში მხიბლავს ეს სიხალისე,
ეს სიგიჟე და ცეცხლი.
სულ რომ შინ იჯდე, სხვა არ ისურვო,
ხომ გავწყერ-მეთქი, ხომ შეგიძულე,
შეგარცხვინე და შევრცხვი.

აბა, კარგიო, - გადიკისკისა,
ხელი დაჰკრა და თვალი გიზგიზა
ცისკარს სტაცებდა ფერებს,
ბილიკს გასცდა და გადმოიხედა
და ნიავევით მომწვდა იქედან:
-არ ინანოო მერე...

მე რომ პატარა ქალი მიყვარდა -
ლამეს შევრჩით და არ დამიღამდა -
განა გულშია ც ბნელა!
წელს რომ ვქორწილობო, არც მან დამალა
თქვენც დაგპატიჟოთ ყველა...

როგორი მთარგმნელი იყო? ნახეთ, რა
დიდებულად თარგმნა შოტლანდიური
პოეზიის კლასიკოსის რობერტ ბერნსის
ლექსი „ადრეა ჩემი გათხოვება“:

უცხო კაცთან მე ისეთი მხდალი ვარ,
გვერდით როგორ დავუნვები, სერ,
მე ისეთი პანანინა ქალი ვარ,
ხომ სირცხვილით დავინვები, სერ.

მე ისეთი პატარა ვარ,
მე ისეთი პატარა ვარ, ჯერ, -
მე რომ დედას მომპაშოროთ
-ცოდვა არის, ადრე არის, სერ.

დედამ კაბა შემიკერა ლამაზი,
წითელ-ყვითელ საკინძებით, სერ,
ხომ დაჭმუჭნით, ხომ წახდება სამოსი,
თქვენ თუ გვერდით დავინვებით, სერ?

შემოდგომის უქმე უკვე გავიდა,
გრძელი არის ზამთრის ღამე, სერ,
მე იმ ღამეს სხვასთან როგორ ავიტან,
არ მეყოფა სითამამე, სერ.

აგერ ქარმა ამოჰყარა ფიფქები,
ფოთოლიც კი არ ჩანს მწვანე, სერ,
გაზაფხულზე უფრო დიდი ვიქნები,
მოდიო, მაშინ ნამიყვანეთ, სერ.

აი, 25 წლის ახალგაზრდა შემოქმედის
პოეტური პოტენციალი, რომელიც ქა-
რთულ პოეზიაში დიდი მწვერვალების
დაპყრობას გვპირდებოდა.

საბჭოთა ჯალათებმა კი მათთვის დამახ-
ასიათებელი სისასტიკით მოუკლეს საქა-
რთველოს ერთი უღირსეულესიშვილი, მის
ოჯახს წაართვეს ყველაფერი, რაც გიორ-
გი ძიგვაშვილს გააჩნდა, მათ შორის ბინაც
თბილისში, რომელიც სამღებროს ქუჩაზე
5-ში მესამე სართულზე იყო...

გამოხდა ხანი და გიორგი უმცროსმა
ძმამ - სულიკო ძიგვაშვილმა ყველაფერი
გააკეთა საიმისოდ, რათა ფერფლიდან
აღედგინა მისი დიდებული ძმის სახელი
და პოეტური მემკვიდრეობა. საქარ-
თველოს მწერალთა კავშირის დახმარე-
ბით არაერთ სასიკეთო საქმეს ჩაეყარა
საძირკველი, რომლებიც გიორგი ძიგვა-
შვილის სახელის უკვდავყოფას შეუ-
წყობს ხელს. მწერალთა კავშირმა 2017
წლის 22 ნოემბერს მწერალთა სახლში
ჩაატარა პოეტის 100 წლისთავისადმი
მიძღვნილი საიუბილეო საღამო. ამის
შემდეგ მწერალთა კავშირმა თხოვნით
მიმართა თბილისის მერს, ბატონ კახა
კალაძეს, რათა გიორგი ძიგვაშვი-
ლის თბილისში არსებული ბინა დაე-
ბრუნებინათ მისი ოჯახისთვის, ანდა
სანაცვლოდ თუნდაც სხვაგან მიეცათ
იმ ოთახის ტოლფარდი ფართი.


მერიიდან კი, უფრო სწორად მერი-
ის სსიპ ქონების მართვის სააგენ-
ტო-ქონების მართვის სამსახურიდან
მივიღეთ წერილი, რომლის ასლსაც სრუ-
ლად ვთავაზობთ მკითხველს, რადგანაც
ამ წერილში გამეფებული გულგრილო-
ბის, ცინიზმის გადმოცემა სხვათა სი-
ტყვებით წარმოუდგენლად მიგვაჩნია.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში
შემოსულია თქვენი განცხადება (რეგ-
ისტრ. 10/0180362427), რომლითაც
ითხოვთ გიორგი ძიგვაშვილის მემკვიდ-
რისთვის საცხოვრებელი ფართის გამ-
ოყოფას.

გაცნობებთ, რომ საცხოვრებელი
ფართობით ან სხვა მხრივ მოქალაქე-
თა დახმარება შესაძლოა განხილულ
იქნეს იმ უფლებამოსილი ორგანოების
პოზიციის გათვალისწინებით, რომ-
ლებიც შეისწავლიან დაინტერესებულ
პირთა მიმართ არსებულ დოკუმენტა-
ციას, მათი სოციალური მდგომარეობის,
სტატუსის ან შესაძლო მძიმე საყიფაცხ-
ოვრებო პირობების გათვალისწინებით.
ასეთ შემთვევებში გადანყვეტილებებიც

ასევე მიღებულ უნდა იქნეს ზემოხსენ-
ებული უფლებამოსილი ორგანოების
მიერ, რომელთა გარეშე, სააგენტო მოკ-
ლებულია შესაბამისი პროცედურების
გატარების შესაძლებლობას. გარდა
ამისა, დედაქალაქში უძრავი ქონების
განკარგვაზე გამიჯნულია უფლებამო-
სილებები სახელმწიფო ორგანოებსა და
მუნიციპალიტეტის ორგანოებს შორის.
შესაბამისად, დაინტერესებულ პირთა
მიერ თუ მოიძებნება შესაფერისი უძ-
რავი ქონება, მისი გადაცემის საკითხით
ინდა მიმართონ უძრავი ქონების გან-
მკარგველ ორგანოს. შესაბამისად, დაინ-
ტერესებულ პირთა მიერ თუ მოიძებნება
შესაფერისი უძრავი ქონება, მისი გადა-
ცემის საკითხით უნდა მიმართონ უძრა-
ვი ქონების განმკარგველ ორგანოს.

სსიპ ქონების მართვის
სააგენტო - ქონების მართვის
სამსახური - სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი
ქვარა ჩართოლანი



ბილოცვა
საქართველოს მწერალთა
კავშირის თავმჯდომარე
ბალათერ არაბული
აირჩიეს აზერბაიჯანის
მინისტრთა კაბინეტთან
არსებული მთარგმნელობითი
ცენტრის ყურნალ
„ხაზარის“ მსოფლიო ლიტერატურის
საერთაშორისო საბჭოს
საპატიო წევრად

ჩვენი ყრბაშაივი



ნინო სიხარულიძე

გაქაპო და კატის კნუტი

ლობის ძირას, იქვე ჩრდილში,
ბეკეკომ რომ რქა იტკინა,
იქვე კნუტმა, სიცილისგან
პირი ალო, გადაგორდა...
მერე, როცა გაიზარდნენ,
კატამ, თვალთა ფრქვევით,
უნამლა და თან უღიმა...
თხამ რომ რძით ბეკეკო ზარდა,
კატის კნუტიც გამოზარდა.

რად შეჩერდა ბუხართან
და რაღას ქექდა იმ ნაცარს?
რაღას ჩხრეკდა ამ ქვით ნაგებ
ბუხართან?
ტრადიციას რას უზამდა
მომლოდინე ნაცართან,
ხომ დაინვა ის თათები
იმ თავნება ფისუნამ.

პატარა კესო

პატარა კესომ სიზმარში
ვეფხვი იხილა საშიში...
და მერე, მოზრდილ ასაკში,
ვეფხვის ბოკვერთან თამაშით...
დამშვიდდა, გული იჯერა,
ლიმილმა ფერი უცვალა...
ფუნჯი აიღო, ტყის პირას
ორთავ დახატა ფერებით...

საქართველოს მწერალთა კავშირის
პრეს-ცენტრი